2024 წლის არჩევნებთან დაკავშირებით შპს სამაუწყებლო კომპანია
"ფორმულას" დაკვეთით ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის კვლევა, რომელიც
განახორციელა საერთაშორისო კომპანია Edison Research-მა (**www.edisonresearch.com**).
Edison Research არის ავტორიტეტული და მაღალი პროფესიული სტანდარტის მქონე
ორგანიზაცია, რომელიც იცავს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პროფესიული ქცევისა
და ეთიკის ნორმებს. ამ მიზნით, AAPOR (American Association of Public Opinion
Researchers)-ის ეთიკის სტანდარტების დაცვითა და საქართველოს კანონმდებლობის
მოთხოვნათა დაცვით, წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. **დამკვეთი:** შპს "ფორმულა" (ს/კ:405345666), მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. N45, თბილისი, 0177, საქართველო.
2. **კვლევა ფასიანია თუ უფასო:** კვლევაში მონაწილე რესპონდენტები არ იხდიან რაიმე სახის საფასურს და გამოკითხვა არის უფასო. კვლევას, სახელშეკრულებო თანხის სანაცვლოდ (ფასით) ახორციელებს Edison Research, შპს „სამაუწყებლო კომპანია ფორმულას" დაკვეთით.
3. **ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა კვლევა:** სახელწოდება ოფიციალური რეგისტრაციის მიხედვით: Edison Media Research, Inc; მისამართი: 50 დივიჟენ სთრით სუით 305 სამერვილ, ნიუჯერსი 08876, ამერიკის შეერთებული შტატები.
4. კვლევის ჩატარების დრო: 29.08.24-08.09.24
5. **გამოკითხვის მეთოდი:** პირისპირი გამოკითხვა.
6. გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა:

    a. A1. როგორ ფიქრობთ, ზოგადად ჩვენი ქვეყანა ვითარდება სწორი თუ არასწორი მიმართულებით?
    b. A3. 2024 წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებზე რომ ვისაუბროთ, რამდენად სავარაუდოა, რომ მონაწილეობას მიიღებთ ამ არჩევნებში? წახვალთ ხმის მისაცემად? ახლა გაჩვენებთ სკალას,  სადაც 1 ნიშნავს ნამდვილად არ მივიღებ მონაწილეობას, ხოლო 10 ნიშნავს ნამდვილად მივიღებ მონაწილეობას, გთხოვთ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი პასუხი.
    c. A5.დღეს, რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?
    d. A7.რამდენად დარწმუნებული ხართ თქვენს არჩევანში?
    e. A11. თვლით, რომ „ქართულმა ოცნებამ" იმდენი გააკეთა, რომ ხელახალი არჩევა დაიმსახურა, თუ დროა სხვა პარტიას მიეცეს შანსი?
    f. A12B. და რამდენად უჭერთ მხარს ან ეწინააღმდეგებით, იმას თუ რა გზებით უმკლავდება ქართული ოცნება ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს?
    g. B3. თქვენი აზრით, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც დღეს საქართველო დგას? (შესაძლებელია სამი
    h. B6.თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ გაიმართოს სატელევიზიო დებატები ქართულ ოცნებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის?

7. **შესაძლო ცდომილების ფარგლები:** შესაძლო ცდომილება +/–2.5% საქართველოს მასშტაბით და +/– 2.5 % თბილისისთვის, 95%-იანი ნდობის ინტერვალისთვის.
8. **კვლევაში წარმოდგენილი პოპულაცია/კატეგორია:** საქართველოს მოსახლეობა, რომელთაც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, არიან 18 წლის ან მეტის.
9. **შერჩევის არეალი:** საქართველო (გარდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებული ტერიტორიებისა).
10. შერჩევის ზომა: 1000
11. **შერჩევის ტიპი:** შემთხვევითი შერჩევა (არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შანსი, რომ მოხვდეს შერჩევაში).
12. **მოხდა თუ არა მონაცემების შეწონვა:** დიახ, მოსახლეობის აღწერის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რეგიონის, დასახლების ტიპის, სქესისა და ასაკის მიხედვით.
13. **კვლევაში გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი:** 1000 რესპონდენტი, 18+ წლის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შერჩეული რესპონდენტები.
14. **ეფუძნება თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს:** შედეგები ემყარება რესპონდენტების პასუხებს კითხვარებზე, რომელიც გამიზნულია ასახოს კვლევაში მონაწილე თითოეული რესპონდენტის მიერ

გაკეთებული არჩევანი კონკრეტულ საკითხებზე. მონაცემები მოიცავს ყველა რესპონდენტის მოსაზრებას, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კვლევაში.

i. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს გამოკითხვაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა:

| ტალღა 8, სექტემბერი | |
|---|---|
| მიზეზი | N |
| 1. არავინ ცხოვრობს | 102 |
| 2. არავინ აღებს კარს, სახლში არავინაა | 40 |
| 3. ადამიანი ვისაც დავეკონტაქტეთ უარს ამბობს თანამშრომლობაზე | 329 |
| 4. არ შეეფერება მოთხოვნას (ტურისტი ან დროებით ჩამოსული უცხოელი) | 26 |
| 5. ოჯახში არ ცხოვრობს საჭირო სქესის ადამიანი | 36 |
| 6. დაბადების დღის მიხედვით შერჩეული რესპონდენტი სახლში არ არის | 6 |
| 7. შერჩეული რესპონდენტი უარს ამბობს ინტერვიუზე | 193 |
| 8. არ შეუძლია პასუხის გაცემა (ნასვამი, ავადმყოფი და ა.შ.) | 46 |
| 9. არ შეეფერება მოთხოვნას (არ აქვს ხმის მიცემის უფლება) | 76 |
| 10. შერჩეული რესპონდენტი ყოველდღე გვიან ბრუნდება და მასთან დაკონტაქტება შეუძლებელია | 59 |
| 11. ენობრივი ბარიერი | 26 |
| 12. სხვა მიზეზი | 31 |
| 13. წარმატებული ინტერვიუ | 1,000 |
| სულ კონტაქტი/ცდა | 1,970 |
| **Response Rate** | 56.9% |

j. **ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე:** მონაცემები ეფუძნება 29.08.24-08.09.24 არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე 18+ წლის შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოკითხულ 1000 რესპონდენტთა აზრს. დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: info@edisonresearch.com. www.edisonresearch.com